სულხან ონიანი*

# ერთი კანონზომიერების შესახებ

„ცუდას რად უნდა მტერობა,
კარგია მუდამ მტრიანი!“
ვაჟა

## შესავალი

მოცემული სტატია არის პირველი მცდელობა, ყურადღება მიექცეს ერთ უცნაურ კანონზომიერებას, რომელიც ქართული ადათობრივი სამართლისათვის არის დამახასიათებელი. მას პირობითად შეიძლება „უკეთესზე პასუხისმგებლობის მიქცევის“ პრინციპი ეწოდოს. იგი ეთნოგრაფიულ მასალებში დღემდე ფიქსირდება და შესაძლებელია ახსნილ იქნეს, როგორც ხალხის მრავალსაუკუნოვანი ემპირიული დაკვირვების შედეგი ან კიდევ, განხილულ იქნეს მხოლოდ და მხოლოდ წარსულში გავრცელებულ და გარკვეული სახით დღემდე ინერციით შემონახულ ცრურწმენად, რომელიც ყოველგვარ რეალურ საფუძველს არის მოკლებული. ასეა თუ ისე, ერთი რამ ცალსახად დასტურდება: მთელ რიგ შემთხვევებში სწორედ ამ პრინციპით ხელმძღვანელობდა ძველი ქართული იურიდიული მსოფლმხედველობა.

## „უკეთესზე პასუხისმგებლობის მიქცევის“ პრინციპი

არსებობს რამდენიმე ფაქტობრივი გარემოება, რომელთაც, ერთი შეხედვით, საერთო არაფერი გააჩნია, თუმცა, სინამდვილეში, ყველა მათგანი „უკეთესზე პასუხისმგებლობის მიქცევის“ პრინციპს ექვემდებარება ან რაღაც ფორმით უკავშირდება მას, კერძოდ:

● დასავლეთ საქართველოს მთიანეთში, კონკრეტულად, სვანეთში ფიქსირდება ე.წ. „უკეთესზე დაწყევლის“ წესი, რაც გულისხმობს მაწყევარის სურვილს, რომ მოცემული წყევლა დაწყევლილი პირის გვარსა და შთამომავლობაში საუკეთესო წარმომადგენელს (სვანურად „მაჩენე“-ს, ე.ი. საჩინოს) აუხდეს და არა – რომელიმე უღირს შთამომავალს. ეს სურვილი ლოგიკური და ბუნებრივია, ვინაიდან საუკეთესო შვილის დასნეულება და სიკვდილი გაცილებით მეტ ტკივილს მიაყენებს მის მშობლებსა და ოჯახის წევრებს, ვიდრე იმ პირისა, რომელმაც თავისი ცუდი ხასიათისა

---

* ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი

და საქციელის გამო ნათესავებსა და ახლობლებს, შესაძლოა, ისედაც დიდი ხანია თავი მოაბეზრა. ანალოგიურად, ხატის წინაშე დადებული ფიცის გატეხვის ან ცრუ ფიცისთვისაც, სვანთა წარმოდგენით, ღმერთი დამფიცებლის ოჯახის საუკეთესო წევრსა და შთამომავალს მოჰკითხავს პასუხს.[1]

● სვანურ ჩვეულებით სამართალში გავრცელებული მეორე წესის თანახმად, შეურაცხადის მიერ ჩადენილი მკვლელობისას შურისძიების მიქცევა ხდება არა შეურაცხად პირზე, არამედ მის სანათესავოში (ოჯახში, გვარში) საუკეთესო და სახელოვან წარმომადგენელზე. ცნობილია, რომ ძველი ქართული სამართალი შეურაცხად პირს დანაშაულის სუბიექტად არ აღიქვამს და პასუხიმგებლობას არ აკისრებს, მაგრამ, გარდა დასახელებული მიზეზისა, აღნიშნულ წესს სვანური ადათობრივი სამართალი კიდევ ორი არგუმენტით ამყარებს: ა) დაზარალებულის ოჯახს კარგის (ჭკვიანის) სანაცვლოდ არ სურს ცუდი (გიჟი), რადგან ეს სამაგიეროს მიზღვის პრინციპის წონასწორობით ელემენტს დაარღვევს; ბ) შურისმაძიებლის მიერ ფსიქიკურად დაავადებულის ფიზიკური განადგურება ამ უკანასკნელის ოჯახისათვის ერთგვარი ირიბი სამსახურის გაწევაც იქნებოდა: თავის შეურაცხად წევრს, რომელიც ათასგვარი პრობლემის წყარო იყო, ოჯახი საკუთარი ძალებით უვლიდა (სპეციალიზირებული დაწესებულებების არარსებობის გამო), ამიტომ მისი მოცილება არათუ ეწყინებოდათ, არამედ, გარკვეული თვალსაზრისით, გაუხარდებოდათ კიდეც, მით უმეტეს, სხვისი ხელით და, მით უმეტეს – საღი ადამიანის სისხლის ფასის სანაცვლოდ.[2]

● აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთშიც, კერძოდ, ხევსურულ ჩვეულებით სამართალში, დასტურდება იდენტური ნორმა: შეურაცხადის მიერ ჩადენილი მკვლელობისას პასუხს აგებს მისი გვარის საუკეთესო წარმომადგენელი – ჭკვიანი, ძლიერი და სახელოვანი ადამიანი. სწორედ მის მიმართ ხორციელდება სისხლის აღება, ანუ ყველაზე კარგი პიროვნება, რომელსაც თავად არაფერი დაუშავებია, სხვის ნაცვლად ისჯება.[3]

● ძველ აღთქმაში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ უფლისათვის შესაწირავი პირუტყვი აუცილებლად უნდა იყოს ჯოგში საუკეთესო და საღი. მას არ უნდა ჰქონდეს არავითარი ფიზიკური ნაკლი,[4] ე.ი. აქაც მსხვერპლად სწორედ მთელი ჯოგიდან

---

[1] გ. დავითაშვილი, ს. ონიანი, ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში (2015 წლის 20-30 ივნისის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის სამეცნიერო-მოხსენებითი ანგარიში), თბ., 2016, 291, 370-371.

[2] ა. კორძაია, სვანური ანდაზები, ლაჰრაკდ არი, თბ., 2000, 113; გ. დავითაშვილი, ს. ონიანი, ჩვეულებითი სამართლის მოქმედება თანამედროვე ბალსზემო სვანეთში (2015 წლის 20-30 ივნისის საველე-ეთნოგრაფიული ექსპედიციის სამეცნიერო-მოხსენებითი ანგარიში), თბ., 2016, 222, 260, 291, 296, 370-371.

[3] გ. დავითაშვილი, დანაშაული და სასჯელი ქართულ ჩვეულებით სამართალში, თბ., 2011, 60, 62.

[4] ლევ. 22.19-24.

საუკეთესო პირუტყვი ეწირება, რომელზეც, მოსეს რჯულის მიმდევართა აზრით, ხელდასხმის რიტუალით გადადის შემწირველის ცოდვები.[5]

საყურადღებოა, რომ იმავე კანონთა კრებულში აკრძალულია ფიზიკური ნაკლის მქონე მღვდლის მიერ მსხვერპლის შეწირვა, კერძოდ კი – კრეტსაბმელთან მისვლა და სამსხვერპლოსთან შეხება.[6]

● ძველი აღთქმის სამსხვერპლო შესაწირავის სისაღის პარალელს წარმოადგენს ახალ აღთქმაში იესო ქრისტეს, როგორც უცოდველი ტარიგის (ე.ი. საუკეთესოს), მსხვერპლად შეწირვის ისტორია.[7] ქრისტიანული მოძღვრების მიხედვით, სწორედ მაცხოვარი იყო უბრალო, უდანაშაულო, უცოდველი და არა საკუთარი, არამედ – სხვა ადამიანების ცოდვების გამო ეცვა ჯვარს.[8]

● იმავე ძველ აღთქმაში საუბარია პრინციპზე, რომ ღმერთი თავის საყვარელ შვილებს მკაცრად ექცევა, რათა გაწვრთნას ისინი.[9] ამ მტკიცებას ბიბლიის უკანასკნელ წიგნშიც ვხვდებით,[10] ხოლო პავლე მოციქული მას დეტალურად განიხილავს ებრაელთა მიმართ ეპისტოლეში, სადაც პირდაპირ მიუთითებს, რომ ღმერთი საუკეთესო შვილებს წვრთნის, ხოლო თუ არ წვრთნის, ე.ი. ისინი არა ძენი, არამედ – უკანონო შვილები ყოფილან.[11]

● ახალ აღთქმაში მოცემულია ფორმულა: ვისაც მეტი მიეცემა – მას მეტი მოეთხოვება.[12] ერთ-ერთ სახარებისეულ ეპიზოდში, როდესაც მოციქულები პაექრობენ, თუ ვინ იქნება პირველი უფლის წინაშე, მაცხოვარი განუმარტავს მათ, რომ ვისაც უნდა პირველყოფა, სწორედ იგი უნდა ემსახუროს ყველა დანარჩენს, ე.ი. საუკეთესოს მოეთხოვება ყველაზე მეტი.[13] ხოლო, ფეხთბანვის რიტუალის დაწესებისას, ქრისტე თავად მოემსახურება მოციქულებს და საკუთარი ხელით დაბანს ფეხს, რითაც აძლევს მსახურების მაგალითს.[14] იდენტური ფორმულაა მოცემული „ტალანტებისა“ და „ათი მინის“ შესახებ იგავებშიც: ხუთი ტალანტის მქონეს მოეთხოვება ხუთი ტალანტი, ხოლო ორისას – მხოლოდ ორი.[15]

● საეკლესიო სამართალში გამოხმაურებას ჰპოვებს მოცემული პრინციპი და თანამდებობის პირისა (სასულიერო იერარქის, მღვდლის, ეპისკოპოსის) თუ განსწავლული და განათლებული ადამიანის მიერ ჩადენილი დანაშაული

---

[5] ლევ. 1.3; 1.10; 3.1; 3.6; 4.3; 4.23; 4.28; 4.32; 5.15; 5.18; 6.6; 9.2.
[6] ლევ. 21.17-23.
[7] იოან. 1.28-37; I პეტრ. 2.22; ეს. 53.3-12.
[8] იოანე დამასკელი, მართლმადიდებლური სარწმუნოების ზედმიწევნითი გარდამოცემა, თბ., 2000, 419.
[9] რჯლ. 8.5; იობ. 5.17; ფსალმ. 93.12; იგავ. 3.11-12; 13.24.
[10] გამოცხ. 3.19.
[11] ებრ. 12.7-11.
[12] ლუკ. 12.47-48.
[13] ლუკ. 22.24-27.
[14] იოან. 13.4-17.
[15] მათ. 25.14-30; ლუკ. 19.12-27.

დამამძიმებელ გარემოებად არის მიჩნეული. ასეთ პირს სხვასთან შედარებით მეტი პასუხისმგებლობა მოეთხოვება.[16]

- და ბოლოს, დღეისათვის ქართულ ზეპირ მეტყველებაში გავრცელებული ბილწსიტყვაობის ორი ფორმა, კერძოდ: ე.წ. „კარგის“ და ე.წ. „კეთილების“ გინებაც პირდაპირ კავშირშია დასახელებულ კანონზომიერებასთან, რადგან მლანძღველი სწორედ უკეთესის, კარგის და კეთილისადმი გამოხატავს აგრესიას და არა – უარესისა თუ უკეთურის მიმართ.

## დასკვნა

ძნელი სათქმელია, რამდენად აქვს რეალური სოციალური საფუძველი დასახელებულ პრინციპს და რამდენად არსებობს მსგავსი კანონზომიერება ობიექტურად, მაგრამ ერთი რამ ცალსახაა: მოცემული პრინციპი ნამდვილად დასტურდება ძველ ქართულ სამართლებრივ სივრცეში, სადაც იგი კონკრეტულ იურიდიულ შედეგებთან არის დაკავშირებული.

სტატიის მიზანიც სწორედ აღნიშნული პრინციპის სადისკუსიოდ გამოტანა, აქცენტირება და სამართლის ისტორიისა და სამართლის ფილოსოფიის შემსწავლელ მეცნიერთათვის ახალი მიმართულების ჩვენებაა, რათა, ამ უკანასკნელთა მხრიდან შესაბამისი სურვილის არსებობის შემთხვევაში, ეს საკითხი სამომავლოდ უკეთ იქნეს გამოკვლეული.

[16] ივ. ჯავახიშვილი, თხზულებანი 12 ტომად, ტ. VII, თბ., 1984, 205.